ბარათების კლიენტებისთვის გადაცემის სერვისი

პროკრედიტ ბანკი დაინტერესებულია საკურიერო კომპანიასთან თანამშრომლობით, რომელიც მესამე მხარის[1] მიერ დამზადებულ ბანკის ბარათებს კლიენტებს მიაწვდის. დაბლა მოცემულია მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებსაც ბანკი სთხოვს კონტრაქტორ კომპანიას.

გზავნილი უნდა ჩაბარდეს შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

- კონვერტში განთავსებული ბარათები გადაეცემა საფოსტო კომპანიის წარმომადგენელს.
- ბარათები უნდა გადაიგზავნოს ყოველ სამუშაო დღეს კლიენტებთან (მითითებულ მისამართებზე თბილისისა და რეგიონების მასშტაბით).
- ჩააბაროს უშუალოდ ზედნადებში მითითებულ მიმღებს.
- მიუთითეთ ბარათების დარიგების (მიტანის) ვადა (არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა).
- მოახდინოს მიმღები პირის უშუალო იდენტიფიკაცია მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
- შეადაროს მიწოდებულ მონაცემებს (სახელი, გვარი და პირადი ნომერი) და დარწმუნდეს, რომ ნამდვილად მითითებული პირია გზავნილის მიმღები.
- ამის შემდეგ გადასცეს მას გზავნილი. გზავნილის მიღების თაობაზე ფორმდება ელექტრონული მიღება-ჩაბარების აქტი.
- ასევე წარმოადგინოს არ ჩაბარებული, ან კლიენტის მიერ არ მიუღებელი ბარათების განკარგვის მეთოდი. - ჩაუბარებელი ბარათები გამოგვიგზავნონ პროკრედიტ ბანკის სათავო ოფისში (ალ. ყაზბეგის 21) არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.
- აუცილებელია კურიერების მიერ ბარათების მიმღების ინფორმაციის და ყველა მხარის კონფიდენციალურობის დაცვა.
- შემსრულებელი ვალდებულია, გზავნილი მიმღებს მიაწოდოს მითითებულ მისამართზე. დაუშვებელია განსხვავებულ მისამართზე გზავნილის მიწოდება,

[1] **შენიშვნა:** ბანკის ბარათების დამზადების ადგილი კომპანიას მიეწოდება მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ.

- გზავნილის გადაცემა მესამე პირებისთვის დაუშვებელია.

ტექნიკური ნაწილი:

- საკურიერო კომპანიამ უნდა გახსნას სპეციალური ონლაინ პორტალი ბარათების დამამზადებელ მესამე მხარესთან. აღნიშნული პორტალის საშუალებით მესამე მხარე თავად დაარეგისტრირებს მონაცემებს, ხოლო საფოსტო კომპანია მიიღებს ინფორმაციას დასარიგებელ ბარათებზე.
- პორტალის (ან მსგავსი სისტემის) არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება გზავნილის სტატუსის შემოწმება და მონაცემების დაახლოებით 1 წლის განმავლობაში შენახვა.
- ბანკის მოთხოვნაა ვერ მიწოდებული ბარათების შენახვა მოხდეს საკურიერო კომპანიის დახურულ ყუთში, ან ოთახში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს კამერებით და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით და წვდომა მკაცრად განსაზღრული.

განფასების მოთხოვნა:

1. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ბარათების დარიგების განფასება

ბარათის მიწოდების ტარიფები საქართველოს ფარგლებში				
N	ქალაქი	ღირებულება	ჩაბარების ვადა	დაბრუნების ვადა
1				
2				
3				
4				
5				

*** გთხოვთ ღირებულება მიუთითოთ ლარებში ყველა შესაძლო გადასახადის ჩათვლით**